

საქორწინო ურთიერთობები¹ ხეთური კანონების მიხედვით

საკვანძო სიტყვები: ხეთური კანონები, თავისუფალი ადამიანი და მონა, საქორწინო ურთიერთობები

Keywords: The Laws of the Hittites, Free Person and Slave, Marital Relationship

გასული საუკუნის დასაწყისამდე სამართლის ისტორიას ძველი საბერძნეთის სამართლის ისტორიით იწყებდნენ და რომის სამართლის განხილვით აგრძელებდნენ, თუმცა XIX საუკუნის მიწურულიდან ახლო აღმოსავლეთში წარმოებულმა ინტენსიურმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა სამართლის ისტორიას და ზოგადად, საკაცობრიო ისტორიასაც, შემატა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლები. ამის შემდეგ ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორია ჩაითვალა სამართლის ისტორიის პირველ საფეხურად, პირველ პერიოდად. ხეთური კანონების აღმოჩენისა და მისი კვლევის ისტორიას არ განვიხილავთ, რადგანაც ამ საკითხს სპეციალურად შევხებით ამავე ჟურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში (ქარჩავა 2022: 10-13). აღვნიშნავთ ერთადერთს, რომ საკანონმდებლო ძეგლები განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი თუ კულტურული საკითხების შესასწავლად. სწორედ, ამიტომაც ამ საკანონმდებლო ძეგლების აღმოჩენამ სრულიად ახლებურად დაანახვა მკვლევრებს ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებები.

ხეთური სამართლის ძეგლები ხეთურ-ნესიტურ ენაზეა შესრულებული. თანამედროვე ნუმერაციით ხეთური კანონები 241 პარაგრაფს მოიცავს. არსებობს ტექსტის რამდენიმე ვარიანტი. ეს ვარიანტები სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება, მაგალითად, კანონების ოთხი ასლი ძვ.წ. 1650-1500 წლებით თარიღდება, არის ასევე კანონების უფრო გვიანდელი ტექსტი, რომელიც ხეთების ახალი სამეფოს პერიოდს მიეკუთვნება. მკვლევართა ვარაუდით, კანონების გვიანდელი ვარიანტი არნუვანდა III-ის ან თუთხალია IV-ის ეპოქით თარიღდება (გიორგაძე 1988: 119). ხეთური კანონების ფირფიტების მიხედვით ვიგებთ, რომ ხეთმა კანონმდებლებმა მთლიანი ტექსტი ორ ძირითად ნაწილად გაყვეს. პირველი ფირფიტა შეიცავს ადამიანის პირადი უფლებებისა და საკუთრების უფლების განმარტებებს, აღწერილია თავისუფალი კაცისა და „მონის“² მდგომარეობა.

¹ საქორწინო ურთიერთობები შეიძლება ჩავთვალოთ ერთგვარ პირობით ტერმინად, რომლის ქვეშაც მოვიაზრებთ თავად ქორწინებას და განქორწინებას.

² ხეთურ კანონებში მოცემულ სიტყვას „ARAD (İR)“ თარგმნიან, როგორც მსახური, მონა,

მოცემულია სასჯელთა სისტემა ადამიანის მოკვლისა თუ დაშავებისათვის, ქურდობისა თუ მოტაცებისათვის, განხილულია საოჯახო და საქორწინო სამართლის ნორმები. კანონთა კრებულის მეორე ფირფიტა კი ეხება მინათმფლობელობის სხვადასხვა ფორმის სამართლებრივი დაცვის საკითხებს, მოცემულია ფასები, ასევე განხილულია სექსუალური ხასიათის დანაშაულებები და ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელები. ამჯერად გამოვყავით ის მუხლები, რომლებიც ქორწინებასა და განქორწინებას შეეხება და სწორედ, ამ მუხლების დეტალური განხილვისა და სხვა ძველ აღმოსავლურ კანონებთან შედარების გზით ვაპირებთ გამოვიტანოთ გარკვეული სახის ზოგადი დასკვნები ხეთური საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებისა და ამ საზოგადოების სოციალური ბუნების შესახებ. საკითხზე მუშაობისას ვეყრდნობით სამ ძირითად თარგმანს ჰოფნერისეულ, გიორგაძისეულ და ასევე ვიყენებთ დიაკონოვის მიერ შესრულებულ თარგმანს, მართლია, ეს უკანასკნელი ხეთოლოგიის დღევანდელი მიღწევების ფონზე შეიძლება მოძველებულად გამოიყურებოდეს, თუმცა დიაკონოვისეული ინტერპრეტაციების წარმოჩენაც საინტერესოდ გვეჩვენება.

დავიწყოთ 26-ე მუხლიდან, რომელსაც აქვს a, b და c ვარიანტები. ფირფიტაზე 26-ე მუხლი ძალზედ დაზიანებულია, ამიტომაც მისი შინაარსის, ზუსტად გაგება რთული საქმეა, თუმცა აშკარაა, რომ 26-ე მუხლში განქორწინების შემთხვევაა აღწერილი. კერძოდ, ჰოფნერის მიხედვით 26a ასე გამოიყურება: „თუკი ქალი გაეყრება კაცს, კაცი მისცემს მას... და ქალი მიიღებს იმ საზღაურს რაც მან დათესა, ხოლო კაცს დარჩება მიწა და ბავშვები“ (Hoffner 1997: 35). ამრიგად, ამ მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ ხეთი ქალი შესაძლოა იყოს განქორწინების ინიციატორი. საინტერესოა ასევე ფრაზა „მიიღებს იმ საზღაურს რაც მან დათესა“ რა უნდა იგულისხმებოდეს ამ ფრაზაში? გვაქვს ორი შესაძლო ვარიანტი: 1. ქალი მიიღებს იმას, რაც მან ქმრის სახლში მიიტანა, ანუ მზითვს ან 2. ქალი საზღაურს იმის მიხედვით მიიღებს, როგორი ცოლიც იყო. იმის გათვალისწინებით, რომ ქალის მზითვი ქალისავე საკუთრებას წარმოადგენდა, რასაც ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით, ზემოთ აღნიშნული ფრაზის მეორე ინტერპრეტაციასაკენ უფრო ვიხრებით. 26b-ში განქორწინების ინიციატორი უკვე კაცია: „თუკი კაცი გაეყრება ქალს, და იგი... მან უნდა გაყიდოს ქალი. ვინც იყიდის მას უნდა გადაუხადოს 12 სიკლი ვერცხლი“ (Hoffner 1997: 35). გაუგებარია, რატომ ეძლევა კაცს ყოფილი ცოლის გაყიდვის უფლება, როგორც ჩანს ფირფიტის დაზიანებულ ნაწილში უნდა ყოფილიყო გარკვეული დამაკონკრეტებელი გარემოება, რაც მამაკაცს ყოფილი ცოლის გაყიდვის საშუალებას აძლევდა. იგივე წერია ამ მუხლის c ვარიანტშიც. სხვა სახის განზოგადებებისაგან თავს შევიკავებთ, რადგანაც ფირფიტის დაზიანების გამო რთულია რაიმე სახის დასკვნების გამოტანა.

ყმა (ხეთურ-ქართული ლექსიკონი 2013: 24). იმის გათვალისწინებით, რომ ხეთური კანონების ყველა თარგმანში „ARAD“ თარგმნილია როგორც მონა ჩვენც ვარჩიეთ, სწორედ, ეს სიტყვა გამოგვეყენებინა, თუმცა კი შესაძლოა, შინაარსით, „მონა“ მთლად ზუსტად ვერ შეესაბამებოდეს ხეთური კანონების „ARAD(İR)“-ს.

27a არეგულირებს დაქორწინებული ქალის მზითვის საკითხებს, კერძოდ: „უკეთუ მამაკაცი ცოლს შეირთავს და მას თავის სახლში წაიყვანს, მის ივარუს-საც³ შინ მიიტანს. უკეთუ ქალი იქ გარდაიცვლება (ე.ი. ქმრის სახლში – ზ.ქ.) და მის ნივთებს დაწვავენ, მის ივარუს მამაკაცი აიღებს. უკეთუ იგი (ე.ი. ქალი – ზ.ქ.) მამამისის სახლში მოკვდება, ხოლო შვილები მისი არსებობენ, მის ივარუს მამაკაციც არ აიღებს“ (გიორგაძე 1990: 213). იგორ დიაკონოვი ამ მუხლის ბოლო ნაწილს სულ სხვანაირად თარგმნის: „ხოლო თუ ქალი მოკვდება მამამისის სახლში, მამაკაცი თავისი შვილებისათვის არ აიღებს ივარუს ნაწილს“ (Дьяконов 1952: 262). ასეთი თარგმანი ნაკლებად გასაზიარებელი ჩანს. ამრიგად, 27-ე მუხლში გვაქვს შემდეგი სურათი: თუ კი ქალი ქმრის სახლში გარდაიცვლებოდა, ქალის მზითვიც ქმარს დარჩებოდა, მაგრამ დაწვავდნენ ქალის ნივთებს, როგორც დიაკონოვი მიუთითებს, გარდაცვლილის პირად ნივთებს მასთან ერთად წვავდნენ და ეს პირადი ნივთები არ იყო ივარუს ნაწილი (Дьяконов 1952: 262). ეს მოსაზრება სავსებით გასაზიარებელი ჩანს, განსხვავებით ჰოფნერის ერთი ჩანართისაგან, რომელშიც მას ახალი ქმარი და ავადმყოფი ცოლი შემოჰყავს (Hoffner 1997: 181-182). ჩვენი აზრით, კანონი ამგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა და ეს ჩანართი საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება გათხოვილი ქალის გარდაცვალებას მამის სახლში, ამ შემთხვევაში ქმარი ივარუს არ იღებდა, მაგრამ აქ ჩნდება ერთი შეკითხვა, რატომ გარდაიცვალა ქალი მამის სახლში? სავარაუდოა, რომ წყვილი ცხოვრობდა ქალის მამის ოჯახში ანუ ქმარი ზედსიძე იყო, ზედსიძეს კი არ ჰქონდა უფლება გარდაცვლილი მეუღლის ქონების განკარგვისა, სწორედ აქედან გამომდინარე გვგონია, რომ გაუმართლებელი ჩანს დიაკონოვის ის თარგმანი, რომელშიც გარდაცვლილი ქალის შვილებსაც არ აქვთ წვდომა დედის ქონებაზე. განიხილავს რა აღნიშნულ მუხლს პროფ. ედუარდ მენაბდე და აღნიშნავს: „...ზედსიძეს არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა ცოლის მზითვი (მისი ქონება). როგორც ჩანს მსგავსი სიტუაცია გვქონდა განქორწინების შემთხვევაშიც“ (Менабде 1965: 196). აქედან გამომდინარე, თუ მატრილოკალურ ქორწინებაში მყოფი წყვილი განქორწინდებოდა, ქმარს არ მიუწვდებოდა ხელი გარდაცვლილი მეუღლის ქონებაზე. ჩვენი აზრით, ქალის მზითვი ხელშეუხებელი იყო პატრილოკალურ ქორწინებაში მყოფი წყვილის განქორწინების დროსაც, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხეთურ საზოგადოებაში გაჩნდა ე.წ. „ლევირატის სისტემა“, როდესაც ქვრივი ქალის მეუღლე შეიძლება გამხდარიყვნენ მისივე მამლები, მამამთილი ან მამამთილის ძმა. ეს შემთხვევები აღწერილი გვაქვს ხეთური კანონების 193-ე მუხლში. ეს შემთხვევა სავსებით გასაგებია, როგორც ნანა ხაზარაძე და ნანა ბახსოლიანი აღნიშნავენ: „...ოჯახიდან ქალის წასვლა და მამისეულ სახლში დაბრუნება მისი ურვადის დაბრუნებასაც ნიშნავდა, რაც მეუღლის ოჯახისთვის არცთუ ისე სასურველი იყო“ (ხაზარაძე, ბახსოლიანი 2016: 18). აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინ „ურვადის“ გამოყენება ამ კონკრეტულ

³ აკად. გრიგოლ გიორგაძე i-wa-ru-ს არ თარგმნის, თუმცა კომენტარებში მას „სამემკვიდრეო წილს“ უწოდებს, ჰოფნერი კი პირდაპირ „მზითვად“ თარგმნის. აღნიშნული ერთმანეთთან დიდ წინააღმდეგობაში არ მოდის, რადგანაც მზითვი სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩავთვალოთ ქალის სამემკვიდრეო წილად.

შემთხვევაში არასწორი გვეჩვენება. ურვათი/ურვადი იყო საცოლის გამოსასყიდი თანხა, რომელსაც სასიძო ქალის მშობლებს უხდიდა. ურვათის ნაცვლად ლოგიკურად გამართული იქნებოდა ეწეროს „ივარუ“ ან მზითვი, ქალის სამემკვიდრეო წილი.

28-ე, 29-ე და 30-ე მუხლების განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენს წინასაქორწინო პროცედურების შესრულებისა და მისი დარღვევის შემთხვევები. 28-ე მუხლში ვკითხულობთ: „28a უკეთუ ქალიშვილი მამაკაცთანაა შეპირებული, სხვამ კი იგი გაიტაცა, თანხა, რამდენიც პირველმა მამაკაცმა გაიღო, ვინც (ქალი) გაიტაცა, იმან უნდა აუნაზღაუროს მას, მამა და დედა არ აანაზღაურობენ. 28b უკეთუ მას (ე.ი. ქალიშვილს) მამა და დედა სხვა კაცს მისცემენ, მაშინ მამა და დედა აანაზღაურობენ. 28c უკეთუ მამა და დედა უარს იტყვიან (ანაზღაურებაზე), მაშინ მას მისგან (ე.ი. სხვა კაცისგან) გაყრიან“ (გიორგაძე 1990: 213). აღნიშნული მუხლი იდენტურად აქვს თარგმნილი ჰოფნერსაც, თუმცა თუ გიორგაძეს გატაცება უწერია, ჰოფნერი გაქცევას წერს (Hoffner 1997: 38). ჩვენი აზრით, ამ მუხლს დიდად არც აინტერესებს ქალი გაქცეულია თუ გატაცებული, მისთვის უმთავრესია დაზარალებულმა მხარემ აინაზღაუროს ის რაც დაკარგა. თუ შეპირებული ქალი სხვა მამაკაცმა გაიტაცა სასიძოს მიერ გადახდილ თანხას გამტაცებული აანაზღაურობს, ხოლო თუ შეპირებული ქალი დედ-მამამ გაატანა სხვა მამაკაცს, მაშინ თანხასაც ისინი აანაზღაურობენ, ხოლო თუ არ აანაზღაურობენ მაშინ ქალს სხვა კაცისაგან გაყრიან. აღსანიშნავია, რომ საქორწინო ურთიერთობებზე საუბრისას ყველგან ორივე მშობელი ფიგურირებს, ეს გვაფიქრებს, რომ ქორწინებაში მყოფ ქალს ისეთივე უფლებები ჰქონდა შვილებზე, როგორც მამაკაცს, ამას პირდაპირ ადასტურებს ხეთური კანონების 171-ე მუხლი, სადაც დედა გაძევების სიმბოლური აქტის ჩატარებით უარს ამბობდა შვილზე და შესაბამისად, შვილებს მემკვიდრეობის გარეშე ტოვებდა, ხოლო გაძევებული შვილის ისევ შვილად მიღება ასევე სიმბოლური აქტით ხდებოდა. დავუბრუნდეთ 28-ე მუხლს. თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ 29-ე მუხლის შედარება 28-თან გარკვეულ ორაზროვნებას იწვევს, რაც ახსნა-განმარტებას საჭიროებს. იქამდე გავცნოთ 29-ე მუხლს: „უკეთი ქალიშვილი მამაკაცთანაა კავშირში, ხოლო იგი მას ურვათს გადაუხდის, ამის შემდეგ თუკი მამა და დედა დავას ასტეხენ და ისინი მას მამაკაცს ჩამოაცილებენ, ურვათს ისინი ორმაგად აანაზღაურობენ“ (გიორგაძე 1990: 213). 28-ე და 29-ე მუხლებში გვაქვს სასიძოს მიერ საცოლის მშობლებისადმი ორჯერ გადახდილი თანხა, რომლებიც სხვადასხვა სიტყვით არის აღნიშნული ku-uš-ša-an და ku-ú-ša-ta. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ საქორწინო პროცედურა რამდენიმე საფეხურისაგან შედგება. ჯერ იყო გასათხოვარი ქალის შეპირება კაცისთვის, რომელიც შეიძლება ამ პროცესის პირველ საფეხურად შეიძლება ჩავთვალოთ, შეპირებისას ანუ ოფიციალურ ნიშნობამდე, როგორც ჩანს, წესად იყო საპატარძლოს ოჯახისთვის თანხის ან რამე საჩუქრის გადაცემა (Bryce 2002: 120), რაც ასახულია კიდევ 28-ე მუხლში. 29-ე მუხლში უკვე ოფიციალური ნიშნობა უნდა იგულისხმებოდეს, რასაც დიდი ალბათობით ხელშეკრულების გაფორმებაც სდევდა თან. ნიშნობისათვის გადახდილი ku-ú-ša-ta, რასაც აკად.

გრიგოლ გიორგაძე ურვათს უწოდებს, ბევრად უფრო დიდი ოდენობის თანხა უნდა ყოფილიყო, სწორედ ურვათის გადახდის შემდეგ ჰქონდა უფლება წყვილს დაქორწინებულიყო. ურვათის გადახდის შემდეგ, თუ საპატარძლოს მშობლები უარს იტყოდნენ ქალიშვილის გათხოვებაზე, სიძისთვის მათ ეს თანხა ორმაგად უნდა დაებრუნებინათ, რაც არა მხოლოდ მატერიალური, არამედ „მორალური ზიანის“ ანაზღაურებაც უნდა ჩანდეს. ამ კონტექსტიდან გამომდინარე უფრო მართებულად გვეჩვენება ჰოფნერის მიერ 29-ე მუხლის დასაწყისში ნათქვამი ფრაზა „დანიშნული“, ვიდრე გიორგაძის მიერ გამოყენებული „ქალიშვილი მამაკაცთანაა კავშირში“, ჰოფნერის თარგმანი უფრო ზუსტია და პროცესსაც სწორად ასახავს. აღსანიშნავია, რომ „ამ გამოსასყიდის ოდენობა არსად არ იყო ზუსტად დადგენილი და აშკარად იცვლებოდა, ქორწინების ხელშეკრულების დამდებთა შესაძლებლობებისა და სოციალური სტატუსის მიხედვით“ (Менабде 1965: 185). დიდი ალბათობით, იქნებოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალის ოჯახი საერთოდ არ ატანდა მზითვს პატარძალს, რაც თავის მხრივ, სავარაუდოა, რომ ათავისუფლებდა სიძეს ურვათის გადახდისგან. 30-ე მუხლში გვაქვს 29-ის შებრუნებული ვარიანტი, როდესაც სასიძოს ურვათი გადახდილი აქვს და თვითონვე ამბობს უარს ქორწინებაზე, ამ დროს მისი გადახდილი ფული პატარძლის მშობლებს რჩებოდათ, რაც სავსებით ლოგიკურია, დანიშნულ ქალზე უარის თქმა ხომ ისეთივე „მორალური ზიანი“ იქნებოდა ქალისა და მისი მშობლებისათვის, როგორც მამაკაცისა და მისი მშობლებისათვის.

30-ე მუხლის შემდეგ საუბარი იწყება „თავისუფალსა“ და „მონას“ და „მონებს“ შორის ქორწინებებზე. განსაკუთრებულად საინტერესოა 31-ე მუხლი: „უკეთეს თავისუფალი მამაკაცი და მონა ქალი ახლო კავშირში არიან, შემდეგ კი ისინი მორიგდებიან და იგი მას თავის ცოლად შეირთავს, ისინი ოჯახსა და შვილებს შექმნიან. [ამის] შემდგომ, [თუკი] ისინი ერთურთს ბოროტებას მიაყენებენ, ანდა გასცილდებიან, სახლს (ოჯახს) შეთანხმებულად გაიყოფენ: შვილებს კაცი წაიყვანს. ერთ შვილს თავისთვის ქალი წაიყვანს“ (გიორგაძე 1990: 213). ამ მუხლიდან ნათელია, რომ შერეულ ქორწინებებს ხეტური სამართალი ცნობდა და არათუ ცნობდა, არამედ „მონის“ სტატუსის მქონე პირს განქორწინების შემდეგ ეძლეოდა ქონების ნახევარი და ასევე შეეძლო ერთი შვილის თავისთან წაყვანაც. იდენტური შემთხვევა გვაქვს აღწერილი 32-ე მუხლში, სადაც „მონა“ კაცსა და „თავისუფალ“ ქალს შორის ქორწინების დროსაც იგივე სამართალი მოქმედებს, იგივეა სამართალი მონებს შორის ქორწინებისას, ანუ ხეტური სამართალი ცნობს მონებს შორის ქორწინებასაც (33-ე მუხლი).

34-ე მუხლში ვკითხულობთ: „უკეთეს მონა კაცი [თავისუფალ] ქალში ურვათს გაიღებს და მას ცოლად შეირთავს, [მაშინ] მას ვერავინ ვერ შეეცილება“ (გიორგაძე 1990: 213). რას თუ ვის ვერ შეეცილება? თავისუფალ ქალს სტატუსს ვერ შეეცილებიან, თუ „მონა“ კაცს ქალს? ჰოფნერი თვლის, რომ აქ „თავისუფალი“ ქალის სტატუსზეა საუბარი, რომელიც „მონას“ მიყვება ცოლად. „მონას“ აქვს ფული, რომლითაც იგი იხდის ქალის გამოსასყიდ თანხას, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ძველ აღმოსავლურ საზოგადოებაში „მონის“ გაგება დიდად განსხვავდებოდა დღევანდელისგან. ამ მუხლში კი აქცენტი სწორედ იმაზეა

გაკეთებული, რომ „თავისუფალი“ ქალის ქორწინება მონაზე არ იწვევდა მისი სოციალური სტატუსის რაიმე ფორმით ცვლილებას. როგორც მომდევნო მუხლიდან ირკვევა, ხეთურ საზოგადოებაში „მონა“ ყველაზე დაბალი სოციალური სტატუსი არ ყოფილა: „უკეთუ თავისუფალ ქალს აგრიგი ან მწყემსი გაიტაცებს, ხოლო მის ურვას არ გაიღებს, მაშინ იგი (ქალი) სამი წლით დამონდება“ (გიორგაძე 1990: 213). ამ მუხლიდან აშკარაა, რომ თუ აგრიგი ან მწყემსი ქალს წაიყვანდა და ურვას არ გადაიხდიდა ქალი სამი წლით „მონა“ გახდებოდა, თუმცა გაუგებარია ვისი მონა უნდა გამხდარიყო ქალი, ნაკლებად წარმოსადგენია იგი „მონად“ ყოფილიყო გამტაცებლის ან საკუთარი დედ-მამის ოჯახში, დიდი ალბათობით იგი სახელმწიფო „მონა“ ხდებოდა და სამეფო მეურნეობაში საქმიანობა ევალებოდა. იდენტური შემთხვევა გვაქვს აღწერილი 175-ე მუხლთან დაკავშირებით, სადაც წერია: „თუ მწყემსი ან ზედამხედველი/მმართველი ცოლად მოიყვანს თავისუფალ ქალს ხოლო იგი 2 ან 4 წლის შემდეგ მონა გახდება მისი შვილები არავინ არ უნდა დაიჭიროს ქამრებით“ (Hoffner 1997: 140). მუხლის პირველი ნაწილი მეტწილად გაუგებარია, ქორწინება იწვევს დამონებას, თუ დამონება ქორწინებისგან დამოუკიდებლად ხდება რთული სათქმელია, მთავარი კი მაინც ისაა, რომ არავის შეუძლია დამონებული ქალის შვილები მონებად აქციოს, აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ „თავისუფალსა“ და „მონას“ შორის ქორწინების შედეგად დაბადებული შვილი ასევე თავისუფალი იყო. ამაში კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებს 36-ე მუხლის განხილვა. 36-ე მუხლში ვკითხულობთ: „...თუკი მონა კაცი თავისუფალ ახალგაზრდა კაცში თანხას გაიღებს და ზედსიძედ მოიყვანს, მის სტატუსს ვერავინ შეცვლის“ (Hoffner 1997: 43). აქაც ჩნდება ერთი შეკითხვა, ვის სტატუსს ვერ შეცვლის ვერავინ, მონისას თუ თავისუფალი კაცისას? ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც ზედსიძედ მოყვანილის სტატუსი უნდა იგულისხმებოდეს. „მონას“ შექმლო ზედსიძედ შემოეყვანა ოჯახში „თავისუფალი“ კაცი და ქალიშვილთან დაექორწინებინა. დიდი ალბათობით, ამგვარი ზედსიძე ქონებრივ სახსარს მოკლებული იქნებოდა, მისი ოჯახში შემოყვანა კი ერთადერთი მიზეზით შეიძლება აიხსნას, კერძოდ, თუ დავუშვებთ, რომ „მონისა“ და „თავისუფალის“ ქორწინების შედეგად დაბადებულნი თავისუფალნი იყვნენ, მოტივაციაც ნათელი ხდება. ამით „მონა კაცი“, რომელსაც თავისუფალი შემოჰყავდა ზედსიძედ, თავის შთამომავლობას თავისუფალის სტატუსს მოუპოვებდა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს მუხლები აშკარად ადასტურებს იმას, რომ „მონები“ არ წარმოადგენდნენ საზოგადოების ისეთ კლასს, როგორადაც ამას წარმოადგენდა საბჭოთა ისტორიოგრაფია.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ისტორიკოსები 34-ე, 35-ე და 36-ე მუხლებს სულ სხვანაირ ინტერპრეტაციებს უკეთებდნენ, მაგალითად აკად. ვასილი სტრუვე 34-ე და 36-ე მუხლების ბოლო ფრაზას „მას ვერავინ შეეცილება“ ამგვარად თარგმნიდა „არავინაა ვალდებული მისცეს ის“ (Струве 1937: 34-37). იმავე ინტერპრეტაციას გვთავაზობს დიაკონოვი (Дьяконов 1952: 263). ასევე საპირისპიროდ თარგმნის დიაკონოვი 175-ე მუხლის ბოლო ნაწილსაც, მისი თარგმანის მიხედვით დამონებული ქალის შვილები, ასევე მონები უნდა გამხდარიყვნენ და

მათთვისაც უნდა შემოერტყათ ქამარი (Дьяконов 1952: 277). ამითი ისინი ერთგვარად ცდილობდნენ გაემყარებინათ მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავისუფალსა და „მონას“ შორის არსებობდა ღრმა უფსკრული, ამასთანავე, თუ „მონას“ დამოუკიდებლად შეეძლო ურვადის გადახდა და თავისუფალი კაცის ზედსიძედ სახლში მოყვანა, მაშინ გამოდიოდა, რომ „მონათა“ სოციალური სტატუსი და ქონებრივი მდგომარეობა სავსებით არ ყოფილა ისეთი, როგორადაც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოაჩენდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა ძველ აღმოსავლურ კანონებთან შედარებით ხეთურ კანონებში ნაკლებად დეტალიზებულია საოჯახო სამართალი, მათ შორის, ქორწინება-განქორწინების საკითხები, განსაკუთრებით ცოტაა ის მუხლები, რომლებიც განქორწინების შემთხვევებს შეეხება, მაშინ როცა ასურულ კანონებში ან თუნდაც ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებში აღწერილი გვაქვს უამრავი განსხვავებული შემთხვევა საოჯახო სამართლის დარეგულირებისა. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ხეთები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინდივიდუალურ შეთანხმებებს, რაც ორ კერძო პირს შორის სათანადო პროცედურების დაცვით ტარდებოდა. ის, რომ კანონებში სხვა შემთხვევები დაცული არ გვაქვს, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი რამ არ ყოფილა, მაგალითად, ხეთურ კანონებში არსად არ არის აღწერილი განზრახ მკვლელობის შემთხვევა, მაგრამ აშკარაა, რომ ასეთი რამ არაერთხელ მოხდებოდა. თუმცა ხეთური კანონები სხვა ძველ აღმოსავლურ კანონებთან შედარებით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ე.წ. შერეული ქორწინებების საკითხს, ამ მიმართულებით სხვა ძველ აღმოსავლურ კანონებში არ გვაქვს ისეთი დეტალიზაცია, როგორიც ხეთურ კანონებში. ამასთანავე ხეთურ კანონებში ძალიან მკაცრად განწერილი ჩანს საქორწინო პროცედურები, თავისი სხვადასხვა საფეხურით, რაც არა მხოლოდ ამ კანონების შესაბამისი მუხლების განხილვით დასტურდება, არამედ იმ საქორწინო შეთანხმებებითაც, რაც არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა. ხეთები, როგორც ჩანს, ამგვარი პროცედურების აღსრულებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, სწორედ ამიტომაც გვაქვს საქორწინო პროცედურების ასეთი დეტალიზაცია.

ხეთების ჰუმანური დამოკიდებულება ირიბად შესამჩნევია ჩვენ მიერ განხილულ მუხლებში, ხეთური კანონები მიმართულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარეების ინტერესები, იმ შემთხვევაშიც, როცა ამ დაინტერესებულ მხარეებს შორის ვხვდებით ქალებსა და „მონებსაც“ კი. ამ გარემოების შესახებ ხეთური კანონების გამოქვეყნებისთანავე დაიწყეს მეცნიერებმა საუბარი. ბედრუხი ჰროზნი, ედუარდ მაიერი, ალბრეხტ გოეტცე და სხვანი გაკვირვებით მიუთითებდნენ ხეთების ჰუმანურ-სამართლებრივ დამოკიდებულებაზე დამნაშავესადმი (ტატიშვილი 2009: 22-23). თუმცა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხეთების ჰუმანურობაზე საუბარი ჩაითვალა ინდოევროპელთა უპირატესობის მტკიცებად სემიტ ხალხებზე. აკად. ვასილი სტრუვე წერდა, რომ „ხეთური კანონების ე.წ. ჰუმანურობა, ერთი მხრივ, განპირობებული იყო ხეთების სახელმწიფოს მონათმფლობელური ხასიათით, ხოლო მეორე მხრივ, მასში მონათმფლობელური არისტოკრატიის ბატონობით, რომლებმაც დაიმორჩილეს ხალხიც და სამეფო ძალაუფლებაც“ (Струве 1947: 20). მიუხედა-

ვად სტრუქტურულ მტკიცებობას, ეს ჰუმანიზმი აშკარად შესამჩნევია არა მხოლოდ ხეთური სამართლის ძეგლებში, არამედ სხვა ტიპის წერილობით ძეგლებშიც იქნება ეს ლოცვები, მითები თუ ნარატიული ხასიათის წყაროები, მაგალითად, თუნდაც ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფიაში, რომლის დეტალურ ანალიზსაც აქ არ შევედგებით (ხათუსილი III-ის ავტობიოგრაფია 1990: 202-209).

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მუხლების შედეგად, აშკარაა ხეთური საზოგადოების ჰუმანური ხასიათი და განსაკუთრებული დამოკიდებულება პიროვნებისადმი. ამასთანავე, ამ მუხლების განხილვამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხეთურ საზოგადოებაში „მონასაც“ გააჩნდა უფლებები და იგი ხეთურ კანონებში ძალიან ხშირად წარმოგვიდგება, როგორც კანონის სუბიექტი. ხეთური კანონების მიხედვით „მონებს“ ჰქონდათ ქონება და ჰყავდათ ოჯახი, „მონებს“ შეეძლოთ თავისუფალ ადამიანებზე დაქორწინება ისე, რომ თავისუფალთა სოციალური სტატუსი ამით არ იცვლებოდა, ხოლო „თავისუფალისა“ და „არათავისუფალის“ ქორწინების შედეგად დაბადებული შვილები „თავისუფალნი“ იყვნენ. საბჭოთა სამეცნიერო სკოლამ კი, როგორც პროფესორი ლევან გორდეზიანი შენიშნავს, „კლასიკოსთა ცალკეული გამონათქვამების აბსოლუტიზაციისა და დოგმებად ქცევის შედეგად მთელი ძველი სამყარო მონათმფლობელურად მონათლა, ხოლო ნებისმიერი არათავისუფალი ამ სამყაროში – მონად“ (გორდეზიანი 1999: 8). ამიტომაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება, რომ ხეთურ საზოგადოებაში „მონა“ სრულად უფლებო იყო, მეტწილად სიმართლეს არ შეესაბამება (Струве 1947: 20; Менабде 1961: 56). თუმცა იმ მოსაზრებისგანაც შორს ვართ, რომ მონები თავისუფალ ადამიანებს ამოვუყენოთ გვერდში (Bryce 2002: 55). თავისუფლებსა და „მონებს“ შორის სოციალური დიფერენციაცია აშკარაა, მაგრამ იგი არაა ისეთი ღრმა, რომ მოგვცეს საშუალება ვისაუბროთ ხეთურ საზოგადოებაში ორი ანტაგონისტურად განწყობილი კლასის არსებობის შესახებ. აღნიშნული კი კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა ხეთურ კანონებში საქორწინო ურთიერთობების განხილვის შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ **გიორგაძე 1988:** გიორგაძე გრიგოლ, ათასი ღვთაების ქვეყანა, თბილისი, „მეცნიერება“, 1988;
- ▶ **გიორგაძე 1990:** გიორგაძე გრიგოლ, ხეთური კანონები, წიგნში ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, რედ. გრ. გიორგაძე, თბილისი, „მეცნიერება“, 1990;
- ▶ **გორდეზიანი 1999:** გორდეზიანი ლევან, B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში, თბილისი, „ლოგოსი“, 1999;
- ▶ **ტატიშვილი 2009:** ტატიშვილი ირინე, მოსაზრებები ხეთების საზოგადოების ჰუმანურობის შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები IV, 2009, გვ. 22-31;
- ▶ **ქარჩავა 2022:** ქარჩავა ზაზა, თავისუფალი ადამიანისა და „მონის“ გატაცება-გაქცევის შემთხვევები ხეთური კანონების მიხედვით, სტუდენტური საისტორიო ძიებანი I, 2022, გვ. 10-24;

- ▶ **ხაზარაძე, ბახსოლიანი 2016:** ხაზარაძე ნანა, ბახსოლიანი ნანა, ხეთური კანონების გენდერული ასპექტები, წიგნში: ქალი დროსა და სივრცეში, რედ. მ. ხიდაშელი, თბილისი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, 2016;
- ▶ **ხეთურ-ქართული ლექსიკონი 2013:** ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვეთი 9: შუმეროგრამები, შემდ. ირ. ტატიშვილი, თბილისი, „ლოგოსი“, 2013;
- ▶ **Bryce 2002:** Bryce Trevor, Life and Society in the Hittite World, New York, Oxford University Press, 2002;
- ▶ **Hoffner 1997:** Hoffner Harry Angier, The Laws of the Hittites, Leiden, New York, Koln, „Brill“, 1997;
- ▶ **Дьяконов 1952:** Дьяконов Игор, Законы Вавилонии, Ассирии и Хеттского царства, Вестник древней истории №4, 1952, გვ. 259-308;
- ▶ **Менабде 1961:** Менабде Эдуард, О рабстве в Хеттском государстве, Переднеазиатский сборник, Вопросы хеттологии и хуритологии, 1961, გვ. 11-56;
- ▶ **Менабде 1965:** Менабде Эдуард, Хеттское Общество, Тбилиси, издательство „Мецნიერება“, 1965;
- ▶ **Струве 1937:** Струве Василий, Параграфы 34 и 36 хеттского судебного кодекса, Вестник древней истории №1, 1937, გვ. 33-38;
- ▶ **Струве 1947:** Струве Василий, О «гуманности» хеттских законов, Вестник древней истории №4, 1947, გვ. 11-20.

MARITAL RELATIONS ACCORDING TO THE LAWS OF HITTITES (SUMMARY)

Legislative monuments are important sources for studying historical, economic, social, state, legal, and cultural issues of any country. Therefore, the laws of the Hittites, which were discovered in 1906-1912 are a valuable source for studying the history of the Hittites kingdom.

I focused on the articles, which described the cases of marriage and divorce. These articles are 26-th, 27-th, 28-th, 29-th, 30-th, 31-st, 32-nd, 33-rd, 34-th, 35-th and 36-th. Through a detailed review of these articles and comparisons with other ancient Eastern laws that we intend to draw some general conclusions about the basic characteristics of the Hittite community and the social nature of this community. During the working on the issue, I used three main translations by Hoffner, Giorgadze, and also the translation by Diakonof.

These articles confirm the humanity and special attitude toward a person in the society of the Hittites. At the same time, the discussion of these articles once again assured us, that in a society of the Hittites, women and “slave” also had rights.

According to the laws of the Hittites “slaves” had property and had a family, “slaves” were also allowed to marry a free person, without changing the social status of the free person.